

GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2022 წლის ანგარიში



შინაარსი

1. განხორციელებული ღონისძიებები..... 2-3
2. სტანდარტიზაცია..... 4-6
3. მეტროლოგია..... 7-12





1. განხორციელებული ღონისძიებები

- 2022 წლის თებერვალს სააგენტოში დაიწყო ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო /ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. პროექტს ახორციელებს იტალია-ესპანეთის კონსორციუმი, პროექტის ბიუჯეტი - 1 400 000 ევრო, პროექტის ხანგრძლივობა -24 თვე.
- 2022 წლის 13 აპრილს თბილისში გაიმართა ზემოთ აღნიშნული ტვინინგ პროექტის გახსნითი კონფერენცია, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება პროექტის შესახებ, ასევე სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით DCFTA მიმართებით. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საქართველოში EU დელეგაციის, იტალიის საელჩოს წარმომადგენლები, ბიზნესისა და სამეცნიერო სფეროს, ასევე სხვადასხვა საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების წარმომადგენლები, სტანდარტიზაციის კომიტეტების წევრები და სხვა პარტნიორი უწყებების წარმომადგენლები.
- ტვინინგ პროექტის ფარგლებში DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დაინტერესებული პირებისათვის (მწარმოებლები, იმპორტიორები, ბაზარზე ზედამხედველობის წარმომადგენლები) სასტუმრო „Holiday Inn“ ჩატარდა სემინარები: ა.წ. 22 სექტემბერს სათამაშოების უსაფრთხოების ევროპული დირექტივის 2009/48/EC ჰარმონიზებულ სტანდარტებზე (EN 71-1, EN 7-2, EN 71-3), 27 ოქტომბერს „ევროპული სტანდარტები სამშენებლო პროდუქტებზე – ცემენტი, არმატურა, თაბაშირ-მუყაო“. სემინარებში ევროპელ ექსპერტთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა.
- 2022 წლის 10 ნოემბერს, სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოს (LVS) შორის არსებული პროექტის „Building the capacity of National Standardization Institutions of Georgia and Moldova to establish support tools for SMEs on conformity assessment in the EU single market“ ფარგლებში, გაიმართა საჯარო სემინარი თემაზე „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ინსტრუმენტები ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად“. სემინარს ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები.
- სააგენტომ გახდა ევროპის მეტროლოგიის რეგიონალურ ორგანიზაციის EURAMET ასოცირებული წევრი. გაწევრიანების პროცესი. სააგენტომ ოფიციალური განაცხადი EURAMET-ში წარადგინა ა.წ. აგვისტოში, რომელსაც თან ახლდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე ევროპის წამყვანი მეტროლოგიის ინსტიტუტების (INRIM იტალია, CEM ესპანეთი) მხარდაჭერი წერილები. განაცხადი განხილული იქნა EURAMET-ის წევრების მიერ და 2022 წლის 7 ნოემბერს ელექტრონული კენჭისყრის გზით სააგენტოს მიენიჭა





EURAMET-ის ასოცირებული წევრის სტატუსი. შემდგომი ეტაპი ითვალისწინებს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის შემოწმებას ე.წ peer evaluation EURAMET-ის ექსპერტების მიერ, სრული წევრობის სტატუსის მისაღებად.

- სააგენტომ 2022 წლის აპრილში გააკეთა განაცხადი სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში (CEN/CENELEC) წევრობის სტატუსის ამდლებისათვის, მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ქ. ბრიუსელში გამართულ CEN/CENELEC-ის გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს (GEOSTM), უკრაინის (DSTU) და მოლდოვას (ISM) სტანდარტების ეროვნულ ორგანოებს მიანიჭა აფილირებული წევრის სტატუსი, რაც გულისხმობს აღნიშნულ ორგანიზაციებში უფრო მაღალი დონის ინტეგრაციას.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიები რეგულარულად უწევს დაკალიბრების მომსახურებას დამკვეთებს აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გაზომვების სხვადასხვა სფეროებში, განსაკუთრებით CMC ჩანაწერებით დაფარულ აღიარებულ სფეროებში: გეომეტრიული გაზომვები (სიგრძე), ელექტროგაზომვები, მასა, მცირე მოცულობა, წნევა, ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, რადიაციული გაზომვები. სააგენტოს ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების მიერ რეგიონალური პროექტის ფარგლებში ჩატარდა შედარებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის აკრედიტებული ლაბორატორიებისათვის და სომხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიასთან.
- მცირე და მიკრო მეწარმეებისათვის სტანდარტიზაციის პროცესში მეტი ინტეგრაციისა და სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შესაბამის ნორმატიულ აქტში გათვალისწინებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მცირე და მიკრო მეწარმეებისათვის სააგენტოს მიერ სტანდარტების მიწოდება შეღავათიან ფასად. ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის იანვრიდან.



2. სტანდარტიზაცია

- საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების ქართულენოვან ვერსიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დამტკიცდა 2022 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამის პირველი და მეორე ნაწილი.
- (ისო) ექსპერტების შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სტანდარტიზაციის ეროვნული სტრატეგიის (NSS) პროექტი, რომელიც მოიცავს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის.
- შეიქმნა სტანდარტიზაციის ახალი ტექნიკური კომიტეტი „ტერმინოლოგიაში“ (ტკ 9).
- „Twinning“ პროექტის ფარგლებში, ევროპელი ექსპერტის მიერ განხორციელდა სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 დანერგვასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების შეფასება, სახელმძღვანელოს და პროცედურების ჩამონათვალის პროექტის შემუშავება და სამომავლო გეგმების დასახვა (29-31 მარტი, 12 - 16 სექტემბერი, 2022);
- აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები „ეროვნული სარკისებრივი კომიტეტის (NMC) შექმნასა და ხელმძღვანელობაზე“, მშენებლობისა (CEN/TC 250) და სასურსათო უსაფრთხოების (CEN/TC 275) სფეროში სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტებში ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობის ხელშეწყობისათვის (19-20 სექტემბერი, 2022);
- ტვინინგ პროექტის ხელშეწყობით სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციის ტექნიკურ კომიტეტების საქმიანობაში (პრიორიტეტულ სფეროებში) სხვადასხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა „ონლაინ“ ფორმატში.
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ევროპული სტანდარტიზაციის ორგანიზაციების მიერ გამართულ ონლაინ სემინარებში.
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციის გენერალურ ასაბლევაში, რომელიც გაიმართა 21-23 ივნისს, ქ. პრაღაში.
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ზომისა და წონის გენერალურ კონფერენციაში CIPM, რომელიც გაიმართა 15-18 ნოემბერს ქ. ვერსალში, საფრანგეთი.
- 2022 წლის 12 თვის მდგომარეობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 3 ნოტიფიკაცია, ხოლო G/TBT/N/GEO/116 ნოტიფიკაციაზე წვერი ქვეყნების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და კომენტარები მიეწოდა ტექნიკური რეგლამენტის შემუშავებელ და წარმომდგენ ადგილობრივ უწყებას.
- სააგენტოს სტანდარტების ელექტონულ პლატფორმაზე განახლდა შემდეგი ტექნიკური რეგლამენტების მიზნების შესრულებისათვის განკუთვნილი სტანდარტების სია: ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგრო მოწყობილობების შესახებ, ლიფტის უსაფრთხოების შესახებ; წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების შესახებ; წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლის შესახებ“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ მიერ განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ევროკოდის „სსტ ენ 1990:2002/2022 ევროკოდი-




კონსტრუქციული დაპროექტების საფუძვლები“ ქართულენოვანი ვერსიის და ამავე ევროკოდისათვის შემუშავებული ეროვნული დანართის პროექტები. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ შესაბამისი ევროკოდის ქართულენოვანი ვერსია და მისი ეროვნული დანართი დარეგისტრირდა საქართველოს სტანდარტად.

- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 2) “მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ მიერ მიღებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) სტანდარტების „ისო 19011:2018 - სახელმძღვანელო მენეჯმენტის სისტემების აუდიტისათვის“ და „ისო/იეკ 27000:2018/2022 - საინფორმაციო ტექნოლოგია - უსაფრთხოების მეთოდები - ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები - ზოგადი მიმოხილვა და ტერმინოლოგია“ ქართულენოვანი ვერსიები.

2022 წლის 12 თვის მდგომარეობით სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 5965 სტანდარტი, მათ შორის:


- ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 4663;
- ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 1281;
- ✓ სსტ ენ (ქართულენოვანი ვერსია) – 6;
- ✓ სსტ ისო (ქართულენოვანი ვერსია) - 12.
- ✓ სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) - 2.
- ✓ სსტ (ეროვნული) -1.





- 2022 წლის 12 თვის განმავლობაში სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 453 სტანდარტი (დიაგრამა 2.), მათ შორის:
 - ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 184;
 - ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 137;
 - ✓ სსტ ისო (ქართულენოვანი) - 98;
 - ✓ სსტ ენ (ქართულენოვანი) - 2;
 - ✓ ასტმ/ASTM სტანდარტები - 13.
 - ✓ სსტ იეკ (ელექტროტექნიკური კომიტეტის სტანდარტი) -1;
 - ✓ გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) - 17;
 - ✓ სსტ (ეროვნული) -1.

დიაგრამა 2.



3. მეტროლოგია

- 2022 წლის 12 თვის მდგომარეობით მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა შეადგენს 65 CMC ჩანაწერს.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025:2017 მოთხოვნების შესაბამისად 2022 წლის 2 მარტს ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური ანალიზი/მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან; შეხვედრაზე შეჯამებულ იქნა 2021 წელი, ხარისხის მიზნების შესრულების სტატუსი, ეტალონების დაკალიბრების პროგრამა, განყოფილებების წლიური ანგარიშები, შესრულებული სამუშაოების ანალიზი. შეხვედრაზე ასევე განისაზღვრა 2022 წლის რისკების რეესტრი, წლიური შიდა აუდიტის გეგმა, მიზნები და პოლიტიკა ხარისხის სფეროში. რეგულარულად ტარდება ხარისხის ჯგუფის შეხვედრები და შიდა ტრენინგები ისეთ საკითხებზე, როგორცაა შიდა აუდიტის ორგანიზება და ჩატარება, დაკალიბრების სერტიფიკატის ფორმის მოდიფიკაცია და შევსება, მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული რისკების განხილვა.
- 2022 წლის 21 დეკემბერს ჩატარდა სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონების ეტალონების კომისიის სხდომა. შეხვედრაზე განხილული იქნა ფიზიკურ-ქიმიური ეტალონური განყოფილების მიერ ეროვნული ეტალონების საქართველოს სახელმწიფო რეესტრში შეტანილი კონდუქტომეტრიის ეროვნული ეტალონის მოდერნიზაცია და შესაბამისი ინფორმაციის განახლება რეესტრში.
- სააგენტოს რადიაციული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ 11.01.2022 და 24.11.2022 ჩატარდა გეგმიური აუდიტი/ინსპექტირება ლიცენზიების პირობების შესაბამისად. ამავე განყოფილების მიერ ლიცენზიების შესაბამისად ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოში წარდგენილ იქნა ფიზიკური ინვენტარიზაციის ანგარიშები (26.04.2022 და 24.11.2022).
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდინარეობს ეტალონების მზადყოფნასთან და შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის ეტალონებისა და სანიმუშო გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, მათი შუალედური შემოწმებები, პერსონალს შორის შედარებები, საერთაშორისო და ორმხრივ შედარებებში მონაწილეობა. აღნიშნული პროცესი შეფერხებულია უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის შეჭრის გამო, განსაკუთრებით ის შედარებები რომელშიც მონაწილე/პილოტი ლაბორატორიებს უკრაინის მეტროლოგიის ინსტიტუტები წარმოადგენენ.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის განყოფილებების ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა 2022 წ. დასაკალიბრებელი ხელსაწყოების სიები/პროგრამები, დასრულდა აღნიშნული პროგრამების



ტექნიკური ექსპერტიზა, რის შემდეგაც გაანალიზდა და შეირჩა სხვადასხვა ქვეყნის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები: თურქეთი, გერმანია, პოლონეთი, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი. სააგენტოს ეტალონები და სანიმუშო ხელსაწყოები დაკალიბრების სამუშაოები დასრულდა ჩეხეთის, თურქეთის და დიდი ბრიტანეთის ინსტიტუტების მიერ, მიმდინარეობს დაკალიბრების სამუშაოები გერმანიის და პოლონეთის ინსტიტუტებში. აღნიშნული პროცესი 2022 გართულებულია, რამდენადაც დაკალიბრების მომსახურების ძირითადი მომწოდებლები უკრაინისა და ბელორუსის მეტროლოგიის ინსტიტუტები იყო.

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების აღჭურვილობის ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2022 წ. განმავლობაში შესაძენი აღჭურვილობის სიებში შესაბამისად 12 თვის მდგომარეობით შეძენილ და მოწოდებულ იქნა ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის - 2 ცალი ელექტროდი pH-მეტრისათვის METTLER TOLEDO, წნევის ლაბორატორიისათვის შეძენილი იქნა სანიმუშო ბარომეტრი MSB780X და საკონტროლო ბარომეტრი M-67. ამავე ლაბორატორიისათვის ხელსაწყოების დასაკალიბრებლად შეძენილი იქნა 2 ერთეული წნევის სენსორი, დიაპაზონით - 35 ბარი და 1000 ბარი, ელექტრობის ეტალონური განყოფილებისათვის 6 ½ ციფრიანი ორ გაზომვიანი მულტიმეტრი. ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის ასევე შეძენილ იქნა სტანდარტული ნიმუშები კონდუქტომეტრის, pH-მეტრის და სიმკრივის გაზომვებისათვის. 2022 წ. მასის ეტალონური განყოფილებისათვის მოწოდებული იქნა ეტალონური საწონების ნაწილი (F1 სიზუსტის კლასის, 5კგ - 2 ცალი. 10კგ - 2 ც20კგ- 10 ცალი). ასევე 2022 წ. გაფორმდა ხელშეკრულება 2 ცალი სანიმუშო ალკომეტრის შესაძენად.
- 2022 წლის პირველ კვარტალში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლება მონაწილეობა მიიღეს BIPM CB&KT -ის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცოდნის გადაცემის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ონლაინ ტრენინგებში:
- BIPM-ის ბაზების ახალ KCDB 2.0 ვერსიაში საერთაშორისო შედარებების პლატფორმის გამოყენების შესახებ (KCDB 2.0 - Online technical exchanges - COMPARISONS) – 2022 წ. 8 თებერვალი.
- KCDB 2.0 ვერსიაში CMC-ების დამწერლების პლატფორმის გამოყენების შესახებ (KCDB 2.0 - Online technical exchanges - CMC Writers in General Physics) – 2022 წ. 15 მარტი.
- 19-23 სექტემბერს ტემპერატურის განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო PTB-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში “IMEKO TC6 M4Dconf2022. პირველი საერთაშორისო კონფერენცია მეტროლოგიასა და ციფრულ ტრანსფორმაციაზე (PTB, Berlin) და დამატებით ვორკშოპში „Complementary M4DT workshop for developing countries „ (PTB, Braunschweig).
- რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების 4 თანამშრომელმა 2022 წ. თებერვლის თვეში გაიარა ტრენინგი/სწავლება რადიაციული უსაფრთხოების საკითხებზე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ლიცენზიის პირობების შესაბამისად.



- რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ა/წ 28-30 მარტს აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარებულ სემინარში - Site Security Plan.,(Seventh Annual Meeting of the Ad hoc Working Group on Alternatives to High Activity Radioactive Sources).
- ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროპელი ექსპერტების ვიზიტები, ასევე ონ-ლაინ კონსულტაციები შემდეგ სფეროებში: აკუსტიკური გაზომვები, წნევის გაზომვები, ფიზ-ქიმია, ალკომტრების და რეფრაქტომეტრების დაკალიბრება და დამოწმება, ხარისხის მენეჯმენტის სისტემები საერთაშორისო სტანდარტების ISO/IEC 17025 და ISO 17034 სტანდარტების შესაბამისად. ასევე საკანონმდებლო დაახლოების კომპონენტის (კომპონენტი 1) ფარგლებში განხორციელდა ევროპელი ექსპერტის კონსულტაცია EU დირექტივების MID და NAWI დანერგვის საკითხებზე. ტვინინგ პროექტის ფარგლებში მომზადდა MID და NAWI დირექტივების ქართულენოვანი თარგმანი. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები MID დირექტივის ზოგად ასპექტებზე, ასევე არა-ავტომატური აწონის საშუალებების (NAWI) დირექტივაზე და ავტომატურ აწონის საშუალებებზე.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებები აქტიურად მონაწილეობენ გაზომვის ეტალონების საერთაშორისო/რეგიონალურ და ორმხრივ შედარებებში შემდეგ სფეროებში: ელექტროგაზომვები, მასა (მცირე მოცულობა), ტემპერატურა, სიგრძე, ფიზ-ქიმიური გაზომვები.
- 05–07 სექტემბერს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის, მასის განყოფილების და წნევის ლაბორატორიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს დამკვირვებლის სტატუსით ევროპის მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტის „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები“ (TC-M) შეხვედრაში.
- 2022 წლის 1 - 3 მარტს PTB-ისთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ სემინარი მეტროლოგიის ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი გამოწვევები.
- PTB-ისთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში სააგენტოს ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების მიერ, როგორც წამყვანი/პილოტი ლაბორატორია ჩატარდა შედარებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის აკრედიტებული ლაბორატორიებისათვის ტემპერატურული გაზომვების სფეროში. აზერბაიჯანის ლაბორატორიებში გაზომვების ეტაპი დასრულებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შედარების მეორე ეტაპი - სომხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიასთან შედარება.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონურ ლაბორატორიაში მიმდინარეობს pH-მეტრიის სტანდარტული ნიმუშების წარმოებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ სტაბილურობისა და ერთგვაროვნების კონტროლი. მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ქიმიური რეაქტივებისა და სერტიფიცირებული სტანდარტული ნიმუშების მარაგის შევსება და განახლება.



- სააგენტოს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონურმა განყოფილებამ პირველად განახორციელა აზერბაიჯანის მეტროლოგიის ორგანიზაციის 500 კგ (8 ერთეული) და 1000 კგ (12 ერთეული) საწონების დაკალიბრება/იუსტირების სამუშაოები.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წარედგინა (29.04. 2022 წ.) წლიური ანგარიში (Annual Report of the IAEA/WHO SSDL Network for 2021).
- ამავე განყოფილებაში ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით 15.05. ÷ 30.05. 2022 წ. ჩატარდა საფოსტო აუდიტი (OSLD, IAEA) – კერძის გაზომვა ჰაერში.
- რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ 2022 წ. 12 თვის მდგომარეობით დაკალიბრდა - 158 ხელსაწყო, მათ შორის დამკვეთისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან - 5 ხელსაწყო. ამავე პერიოდში ჩატარდა ნიმუშის რადიაციული კვლევა – 36 ნიმუში.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების სპეციალისტების მიერ საკუთარი ძალებით შემუშავდა აკუსტიკური დახმული კამერის კონსტრუქცია, მიმდინარეობს კამერის გამოკვლევის პროცესი.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების მიერ 2022 წლის 12 თვის განმავლობაში ჩატარებულია 6 ერთეული საკონტროლო-სალარო აპარატის გამოცდა ფინანსთა მინისტრის № 994 ბრძანების: „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნების შესაბამისად.
- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვისათვის სააგენტომ გამოაცხადა სტაჟირების კონკურსი.
- 2022 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებული და დამტკიცებულია ორი ერთეული გაზომვის საშუალების 21 ტიპი:
 1. BT2TA საბაქნო სასწორები, ფირმა „TÜM Elektronik mÜh. San. Tic.Ltd.Str“ (თურქეთი);
 2. ელექტრული ენერჯის სტატიკური მრიცხველები, შპს „НПК „Инкотекс“, შპს „НПФ „Moccap“ (რუსეთის ფედერაცია);
 3. AMS B2 ელექტრული ენერჯის ერთფაზა სტატიკური მრიცხველები, კომპანია „Applied Meters, a. s.“ (სლოვაკეთის რესპუბლიკა);
 4. „171 A, 171 B“ წყლის მრიცხველები (ულტრაბგერითი), „Diehl Metering GmbH“ (გერმანია);
 5. CE 307 ელექტრული ენერჯის სამფაზა მრავალფუნქციური მრიცხველები, სს „Electrotechnical Factories “Energomera” (რუსეთის ფედერაცია);
 6. CE 207 ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრავალფუნქციური მრიცხველები, სს „Electrotechnical Factories “Energomera” (რუსეთის ფედერაცია);
 7. „HUDRUS 173“ წყლის მრიცხველები (ულტრაბგერითი), „Diehl Metering GmbH“ (გერმანია);
 8. „HUDRUS 174“ წყლის მრიცხველები (ულტრაბგერითი), „Diehl Metering GmbH“



- (გერმანია);
9. „D3“ ცივი წყლის მრავალჭავლიანი მრიცხველები, „Diehl Metering SAS“ (საფრანგეთი);
 10. „Corona MWI2“ ცივი წყლის მრავალჭავლიანი მრიცხველები, „MOM Zrt.“ (უნგრეთი);
 11. „CONTAZARA CZUS“ წყლის ულტრაბგერითი მრიცხველები, (CONTADORES DE AGUA DE ZARAGOZA S.A.)“ (ესპანეთი);
 12. „A2“ წყლის მრიცხველები, ფირმა „Diehl Metering SAS“ (საფრანგეთი);
 13. „B2“ წყლის მრიცხველები, ფირმა „Diehl Metering SAS“ (საფრანგეთი);
 14. „AMT B2“ ელექტრული ენერჯის სამფაზა სტატიკური მრიცხველები, კომპანია „Applied Meters, a. s.“ (slovakia respublika);
 15. „UW-UC“ წყლის ულტრაბგერითი მრიცხველები, ფირმა „Baylan Ölçü Aletleri Sanayi ve Ticaret Ltd. Şti.“ (თურქეთი);
 16. „WORLD WRD-D-XX-Y“ წყლის მრიცხველები, ფირმა „LUNA Elektrik Elektronik Sanayi ve Ticaret A.S.“ (თურქეთი);
 17. "PWI" სასწორები, ფირმა „Şahin Baskül Makina Imalat Sanayi ve Ticaret Limited Şirketi.“ (თურქეთი).
 18. Load Line-2 სასწორების, ფირმა „TUNAYLAR BASKÜL SANAYİ VE TİCARET A.Ş.“ (თურქეთი)
 19. „AYSU W-XX-E“ წყლის მრიცხველის, ფირმა „EUROMET Ölçü Aletleri Laboratuvar ve Test Ekipmanlari Danışmanlık Imalat Sanayi ve Ticaret Ltd. Şti.“ (თურქეთი)
 20. AP 338 მოდელის ალკომეტრების (ამონასუნთქ ჰაერში ალკოჰოლის განმსაზღვრელი ჩასაბერი მოწყობილობა), ფირმა “A&A პროდუქტ მანუფაქტურინგ ლიმიტედ”, (ჰონკ-კონგი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა)
 21. PRODIGI, PRODIGI 16, PRODIGI 25, PRODIGI 40, PRODIGI LPG, აირის ულტრაბგერითი მრიცხველების, ფირმა “Mesura Metering Srl”, (იტალია)







სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები. 2022 წ. 12 თვის მდგომარეობით ჩატარებულია გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები სულ 136276 ერთეული , მათ შორის:

- ✓ ელექტრო მრიცხველი - 6495 ც.
- ✓ აირის მრიცხველი - 105101 ც.
- ✓ წყლის მრიცხველი 24680 ც.

დიაგრამა 3.





GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია



ჩარგლოს ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

www.geostm.ge

www.sst.geostm.gov.ge